საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

113
21.11.16

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ბიუროს დღის წესრიგში შესატანად გიგზავნით საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დებულებას, რომელიც შემუშავებული იქნა 2016 წლის 21 ნოემბერს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის პირველ საორგანიზაციო სხდომაზე. ასევე წარმოგიდგენთ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმს.

დანართი: „12“ ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი კახიანი
კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2261679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის
საპროცედურო საკითხთა და წესების
კომიტეტის
2016 წლის 21 ნოემბერი, 12.00 სთ
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N8
კომიტეტის სათათბირო ოთახი N221

სხდომის ოქმი №1

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი კახიანი - საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე
სხდომას ესწრებოდნენ:
კომიტეტის წევრები: გურამ მაჭარაშვილი, შალვა კიკნაველიძე, ხათუნა გოგორიშვილი, მანანა კობახიძე, კარლო კოპალიანი, ენძელა მაჭავარიანი, ალექსანდრე ერქვანია, ნიკანორ მელია, რამაზ ნიკოლაიშვილი, გიგა ბუკია.
სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის აპარატის აპარატის თანამშრომლები და მასმედიის წარმომადგენლები.
სხდომის მდივანი: სესილი ძებნიაური - წამყვანი სპეციალისტი.
კომიტეტის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომიტეტის 11 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი):

1. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების არჩევა;
   მომხსენებელი: გიორგი კახიანი

2. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დებულების შემუშავება
   მომხსენებელი: გიორგი კახიანი

სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა
კომიტეტის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების არჩევა;

მოისმინეს: **გიორგი კახიანის** ინფორმაცია.,

კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის რეგლამენტის 39–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ასარჩევად დაასახელა გურამ მაჭარაშვილის კანდიდატურა, აგრეთვე კომიტეტის წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა შალვა კიკნაველიძის კანდიდატურა, ხოლო საპარლამენტო უმცირესობამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოადგინა ხათუნა გოგორიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრები:

1. **კომიტეტის თავმჯდომარემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
   ვინ არის მომხრე რომ გურამ მაჭარაშვილი არჩეული იქნეს კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ?
   გადაწყვიტეს (ერთხმად):
   გურამ მაჭარაშვილი არჩეული იქნეს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.
   კენჭისყრაში მონაწილეობდა კომიტეტის 11 წევრი

2. **კომიტეტის თავმჯდომარემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
   ვინ არის მომხრე რომ შალვა კიკნაველიძე არჩეული იქნეს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ?
   გადაწყვიტეს (ერთხმად):
   შალვა კიკნაველიძე არჩეული იქნეს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.
   კენჭისყრაში მონაწილეობდა კომიტეტის 11 წევრი

3. **კომიტეტის თავმჯდომარემ** კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
   ვინ არის მომხრე რომ ხათუნა გოგორიშვილი არჩეული იქნეს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ?
   გადაწყვიტეს (ერთხმად):
   ხათუნა გოგორიშვილი არჩეული იქნეს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.
   კენჭისყრაში მონაწილეობდა კომიტეტის 11 წევრი

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დებულების შემუშავება

მოისმინეს: გიორგი კახიანის ინფორმაცია საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დებულების ახალ პროექტთან დაკავშირებით

აზრი გამოთქვეს: ხათუნა გოგორიშვილმა, მანანა კობახიძემ

კომიტეტის წევრებმა კენჭი უყარეს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დებულების ახალ პროექტს
კენჭისყრაში მონაწილეობდა კომიტეტის 11 წევრი

გადაწყვიტეს (ერთხმად)
საქართველოს პარლამენტის ბიუროს წარედგინოს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დებულების ახალი პროექტი დასამტკიცებლად.
/კომიტეტის დებულების პროექტი თან ერთვის/

გიორგი კახიანი

კომიტეტის თავმჯდომარე

სესილი ძებნიაური
სხდომის მდივანი